

ცვლილებები საგადასახადო
კანონმდებლობაში

2022 – 2023

გიორგი ხანჯალიაშვილი



განსახილველი თემები

1. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები
2. ფინანსთა მინისტრის ბრძანებებში შესული ცვლილებები
3. მნიშვნელოვანი სიტუაციური სახელმძღვანელოები / მეთოდური მითითებები / საჯარო გადაწყვეტილებები

განსახილველი ცვლილებების პერიოდი - 09/2022 – 09/2023

საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები

რეფერენტული ფასისადმი დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი

286-ე მუხლის 1² ნაწილის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 1³-1⁵ ნაწილები:

1³. სამეწარმეო საქმიანობისთვის რეფერენტული ფასისადმი დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მიერ სასაქონლო ზედნადების მოთხოვნისას მისი გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა იწვევს პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

1⁴. ამ მუხლის 1³ ნაწილით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენა იწვევს პირის დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით.

1⁵. ამ მუხლის 1³ ნაწილით გათვალისწინებული ქმედების მესამედ და მის შემდეგ ყოველი მომდევნო ჩადენა იწვევს პირის დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით.

ეს სანქცია გამოიყენება მაშინაც, თუ ზედნადებში არ არის მითითებული აგრეთვე ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციის ნომერი, ფარმაცევტული პროდუქტის ერთეულის ფასი ან/და სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარის ფაქტობრივი მისამართი.

ძალაშია: 15/03/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

რეფერენტული ფასისადმი დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი

- რეფერენტული საცალო ფასი არის ფარმაცევტული პროდუქტის საცალო რეალიზაციის ზღვრული მაქსიმალური ფასი ლარში, სააფთიაქო დარიცხვის ჩათვლით.
- რეფერენტული საბითუმო ფასი არის ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის ზღვრული მაქსიმალური საბითუმო ფასი ლარში, საბითუმო დარიცხვის ჩათვლით.
- რეფერენტული ფასების კატალოგი არის ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასების ოფიციალური ჩამონათვალი დადგენილი ფორმატით (ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)).

ძალაშია: 15/03/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლა

- „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან/და საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული ანგარიშგები ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია განახორციელოს სათანადო პროცედურები აღნიშნული შეთანხმებებით გათვალისწინებული „ანგარიშგების საერთო სტანდარტის“ თანახმად და საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია შესაბამისი იურისდიქციის რეზიდენტი პირის ანგარიშგებისადმი დაქვემდებარებული თითოეული ფინანსური ანგარიშის თაობაზე.
- ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინება იმ კალენდარული წლის დასრულების შემდეგ, რომელსაც იგი უკავშირდება, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული წლის 30 ივნისისა.

ძალაშია: 30/11/2022-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (matsne.gov.ge)

ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლა

- ანგარიშმგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენის ვადის დარღვევა იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველი დაგვიანებული დღისთვის 3 000 ლარის ოდენობით. ამასთანავე, მთელ დაგვიანებულ პერიოდზე გამოანგარიშებული სანქციის ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.
- ანგარიშმგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით დამატებითი ინფორმაციის წარდგენის შესახებ საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს პირის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.
- ანგარიშმგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსთვის არასრულად/არასწორად წარდგენა იწვევს პირის დაჯარიმებას წარდგენილ ინფორმაციაში გამოტოვებული ან არასრულად/არასწორად წარდგენილი ანგარიშგებისადმი დაქვემდებარებული თითოეული ანგარიშისთვის 10 000 ლარის ოდენობით. ამასთანავე, ამ ნაწილის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის ჯამური თანხა თითოეული საანგარიშო პერიოდისთვის 100 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

ძალაშია: 30/11/2022-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლა

- საქართველომ ხელი მოაწერა CRS MCAA-ს და ინფორმაციის პირველად გაცვლის წინასწარ განსაზღვრული თარიღი არის 2024 წლის სექტემბერი.
- ამ ხელშეკრულების თანახმად, თითოეული იურისდიქციისათვის, ანგარიშგები ფინანსური ინსტიტუტი არის 1) ამ იურისდიქციის რეზიდენტი ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტი, გარდა ამ ფინანსური ინსტიტუტის ფილიალისა, რომელიც მდებარეობს იურისდიქციის გარეთ და 2) ნებისმიერი არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტის ფილიალი, რომელიც მდებარეობს ამ იურისდიქციაში ([multilateral-competent-authority-agreement.pdf \(oecd.org\)](https://multilateral-competent-authority-agreement.oecd.org)).
- ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ანგარიშგების წესი დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 5 აპრილი №125 ბრძანებით („საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (matsne.gov.ge)).

ძალაშია: 30/11/2022-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (matsne.gov.ge)

2023 წლამდე მოქმედი შეღავათების გადავადება

2026 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდა ისეთი შეღავათების მოქმედება, როგორებიცაა:

- სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ასევე მის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი 200 000 ლარს არ აღემატება
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, მათ საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (გარდა მიწისა) და ამავე საქმიანობისთვის მასზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება
- არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას

ძალაშია: 01/01/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

სადაზღვევო ორგანიზაციების დაბეგვრა

- სადაზღვევო ორგანიზაცია მოგების გადასახადით ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით იბეგრება 2024 წლის 1 იანვრიდან.
- 2024 წლის 1 იანვრამდე სადაზღვევო ორგანიზაციის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.
- 2024 წლის 1 იანვრამდე იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს ლიცენზირებულ სადაზღვევო საქმიანობას, უფლება აქვს, საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით გაანგარიშებული იმავე საანგარიშო პერიოდის „სადაზღვევო/დამდგარი ზარალები, ნეტო“, გარდა შემოსავლისა რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან.

ძალაშია: 01/01/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (matsne.gov.ge)

ფინანსური ინსტიტუტების დაბეგვრა

- საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.
- საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის დასაბეგრი მოგება იბეგრება 20 პროცენტით.
- საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის მიერ 2023 წლისა და შემდგომი პერიოდების კუთვნილი მოგებიდან გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

ძალაშია: 01/01/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

ფინანსური ინსტიტუტების დაბეგვრა

- საბანკო დაწესებულება, საკრედიტო კავშირი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სესხებზე დარიცხულ პროცენტებს შემოსავლად აღიარებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.
- საბანკო დაწესებულება, საკრედიტო კავშირი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ერთობლივი შემოსავლიდან სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.
- შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისთვის სესხად ითვლება კრედიტი (სესხი), ოვერდრაფტი, აკრედიტივი, საკრედიტო ხაზი, გარანტია ან/და სავალო ფასიანი ქაღალდები, ფაქტორინგი, აგრეთვე ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული/მისაღები (მათ შორის, დისკონტის, საკომისიოს ან/და სარგებლის სახით მიღებული/მისაღები) ნებისმიერი სახის წინასწარ განცხადებული (დადგენილი) შემოსავალი (სსკ, მუხლი 109).

ძალაშია: 01/01/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

ხანდაზმულობის ვადები

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები ჩერდება:

- საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;
- საგადასახადო შეთანხმების აქტის მოქმედების პერიოდში;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ან შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების სსკ-ს 238-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გაუქმების შემთხვევაში.

კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები არ გამოიყენება:

- საგადასახადო ორგანოს მიერ პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოსთვის წარდგენასთან და ცრუმაგიერი პირის მიმართ ამ კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ძალაშია: 05/04/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

გადასახადის გადამხდელთან კომუნიკაცია

საგადასახადო/დავის განმხილველ ორგანოს ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს უფლება აქვს, დოკუმენტი საჯაროდ გაავრცელოს, თუ გადასახადის გადამხდელი (გარდა ფიზიკური პირისა) საგადასახადო ორგანოს მიერ ელექტრონული ფორმით გაგზავნილ დოკუმენტს გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განთავსებიდან 30 დღის განმავლობაში არ გასცნობია. თუ გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირია, დოკუმენტის საჯაროდ გაავრცელება შესაძლებელია, თუკი შესრულებულია შემდეგი პირობები:

- პირს ორჯერ მაინც გაეგზავნა/წარედგინა დოკუმენტი წერილობითი ფორმით და ადრესატისთვის მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა;
- პირი არ არის შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის ავტორიზებული მომხმარებელი ან ადრესატი დოკუმენტს ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განთავსებიდან 30 დღის განმავლობაში არ გასცნობია.

ძალაშია: 05/04/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

რამდენიმე პირის ერთ პირად განხილვა

დღგ-ის მიზნისთვის ერთ დასაბეგრ პირად განიხილოს საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული ნებისმიერი რამდენიმე პირი, მათი ფორმალური/იურიდიული დამოუკიდებლობის მიუხედავად, თუ მათ საქმიანობასთან/მართვასთან დაკავშირებულ ძირითად გადაწყვეტილებებს ერთი და იგივე პირი იღებს და მათი საქმიანობის ადგილი, სახე და შინაარსი იდენტურია. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევებსა და წესებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

ძალაშია: 05/04/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

დაქირავებულ პირთა რეესტრი

მუხლი 288⁵. დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა

პირის მიერ დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა – იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ დაქირავებულ პირზე 200 ლარის ოდენობით.

ძალაშია: 05/04/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

საანგარიშო პერიოდი ნამეტის დაბეგვისას

- არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით ფიზიკური პირის მიერ მიღებული ნამეტის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვის საანგარიშო პერიოდი კალენდარული თვე.
- არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

ძალაშია: 01/01/2024-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

აქციზური მარკების გამოუყენებლობა

- პირის მიერ აქციზური მარკების მიღებიდან 6 თვეში საქონლის იმპორტის/აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებლობის შემთხვევაში აქციზური მარკები დაბრუნებას ექვემდებარება. 6-თვიანი პერიოდის გასვლის მომდევნო დღესვე აქციზური მარკების დაუბრუნებლობა ამ კარის მიზნებისთვის მიიჩნევა აქციზური მარკების სავალდებულო ნიშანდებისადმი დაქვემდებარებული საქონლის ქვეყნის შიგნით მიწოდებად და შესაბამისად დაიბეგრება აქციზით, ხოლო შემდგომ პერიოდში, დაუბრუნებელი აქციზური მარკებით ნიშანდებული საქონლის იმპორტის/აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისას, გადასახდელად დარიცხული აქციზი გადაანგარიშდება ფაქტობრივად განხორციელებული იმპორტის/აქციზით დასაბეგრი ოპერაციის ოდენობის პროპორციულად.

ძალაშია: 05/04/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

გადასახადის დაბრუნება მანქანის ექსპორტისას

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში მითითებული მსუბუქი ავტომობილის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევიდან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება **90 180 კალენდარული დღის** განმავლობაში გაფორმდება ექსპორტის პროცედურაში და დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იმპორტიორი უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად დაიბრუნოს ამ სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი იმპორტის გადასახადი და აქციზი 100 პროცენტის ოდენობით.

ძალაშია: 05/04/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

შეღავათები უეფას 2023 წლის 21 წლამდელთა ჩემპიონატისათვის

ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის (შემდგომ – უეფა) 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებისა და მათთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში:

- უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ მიღებული შემოსავალი თავისუფლდება მოგების გადასახადისგან;
- უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა თავისუფლდება ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან;
- უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქონლის იმპორტისას არ გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელები;
- უეფა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საქართველოში გამოყენებულ ქონებაზე თავისუფლდებიან ქონების გადასახადისგან.

ძალაშია: 18/05/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

შეღავათები უეფას 2023 წლის 21 წლამდელთა ჩემპიონატისათვის

- უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებისა და მათთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში არ წარმოეშობათ ამ კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო აგენტის ვალდებულება. ამასთანავე, აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის მომსახურების გაწევა არ ექვემდებარება დღგ-ით უკუდაბეგვრას.
- უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩების ორგანიზება და ჩატარება არ წარმოშობს საქართველოში მუდმივ დაწესებულებას.
- დანიშნული პირის მიერ უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებისა და მათთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში მიღებული შემოსავალი თავისუფლდება საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან.

შენიშვნა: დანიშნული პირი არის უეფას ან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დანიშნული ნებისმიერი არარეზიდენტი პირი, მათ შორის, უცხო ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების გუნდის წევრი ან პერსონალის წევრი (მაგალითად, მოთამაშე, მწვრთნელი და სხვა), უეფას ან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელი.

ძალაშია: 18/05/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

შეღავათები უეფას 2023 წლის 21 წლამდელთა ჩემპიონატისათვის

დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია:

- პირის მიერ უეფასთვის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის ან/და დანიშნული პირისთვის იმ საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;
- უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაცია.

ძალაშია: 18/05/2023-დან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ფინანსთა მინისტრის 996 ბრძანებაში შესული ცვლილებები

საგადასახადო აღრიცხვის გაუქმება

- უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის, მისი მუდმივი დაწესებულების, აგრეთვე არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დაწესებულების, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციების, კომპანიების, ფირმების და სხვა მსგავსი წარმონაქმნების საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების მიზნით, საგადასახადო ორგანოს წარედგინება ლეგალიზებული/აპოსტილით დამოწმებული, ქართულ ენაზე თარგმნილი და სანოტარო წესით დადასტურებული საქმიანობის შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის ლეგალიზება/აპოსტილით დამოწმება არ მოითხოვება – მხოლოდ მისი ნოტარიულად დადასტურებული თარგმანი ქართულ ენაზე.
- დიპლომატიური და მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე ორგანიზაციის საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების მიზნით, საგადასახადო ორგანოს წარედგინება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დიპლომატიური და მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე ორგანიზაციის მიერ საქმიანობის შეწყვეტის ფაქტი.

ძალაშია: 16/01/2023-დან

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (matsne.gov.ge)

საგადასახადო აღრიცხვის გაუქმება

- საგადასახადო ორგანო, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას, პირისათვის საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების თაობაზე, რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე, გადასახადის გადამხდელთა რეესტრში.
- პირის საგადასახადო აღრიცხვა უქმდება პირის გარდაცვალების თარიღიდან ან საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოში შესაბამისი დოკუმენტის წარდგენიდან 1 თვის ვადაში, ხოლო საგადასახადო შემოწმების ჩატარების შემთხვევაში, საგადასახადო შემოწმების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

ძალაშია: 16/01/2023-დან

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (matsne.gov.ge)

საგადასახადო აღრიცხვის გაუქმება

პირს (გარდა ფიზიკური პირისა) საგადასახადო აღრიცხვის გაუქმებაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ:

- სრულყოფილად არ არის წარდგენილი დოკუმენტები;
- პირს, გააჩნია საგადასახადო დავალიანება;
- მიმდინარეობს საგადასახადო შემოწმება ან გაგზავნილია შეტყობინება საგადასახადო შემოწმების დანიშვნის შესახებ;
- პირს გააჩნია რეგისტრირებული უძრავ-მოძრავი ქონება;
- პირს რეგისტრაციიდან არ მოუხსნია საკონტროლო-სალარო აპარატი;
- პირს საბანკო დაწესებულებაში არ აქვს დახურული ბოლო საბანკო ანგარიში.

ძალაშია: 16/01/2023-დან

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (matsne.gov.ge)

ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები

- ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების შევსება სავალდებულოა ერთ—მეტრამდე 60 სანტიმეტრამდე სიგრძის დაკოტრილ მრგვალ ხე-ტყეზე (მორზე) და წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყეზე.
- იგივე სტანდარტი დადგინდა ყველა პუნქტში, სადაც ნახსენები იყო ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალ ხე-ტყე.

ძალაშია: 19/09/2022-დან

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5569301?publication=0>

ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები

საშეშე მერქანზე – ხე-ტყის დამზადების შედეგად, მათ შორის, ძირნაყარი ხე-ტყისგან მიღებული 60 სანტიმეტრამდე სიგრძის დაკოტრილი ან წვრილი ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე მერქნული რესურსი.

ძალაშია: 15/06/2023-დან

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5813675?publication=0>

დღგ-ის თანხის კორექტირება

- შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება, თუ გადამხდელის მიერ უძრავი ნივთის მიწოდების ოპერაციაზე დღგ დარიცხულია საგადასახადო შემოწმების შედეგად, რომლის საფუძველზეც საგადასახადო ორგანომ განახორციელა პირის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია. ამ შემთხვევაში, დღგ-ით დასაბეგრი თანხა კორექტირდება ამ მუხლის მე-10- მე-11 პუნქტებით განსაზღვრული წესით.
- 10 ა) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევის გარდა, დღგ-ის თანხის კორექტირების მიზნით, გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს №III-241 დანართით დადგენილი ფორმის დეკლარაციას, რომელშიც მონაცემები შეიტანება უჯრების დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად;
ბ) თუ კორექტირების გამომწვევი გარემოება დადგა საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობისას, შემოწმებით მოცულ საანგარიშო პერიოდში, დღგ-ით დასაბეგრი თანხა კორექტირდება საგადასახადო ორგანოს მიერ.
- 11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დეკლარაციით მოთხოვნილი დღგ-ით დასაბეგრი თანხის კორექტირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საგადასახადო ორგანო, დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან ორი თვის ვადაში. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა. დღგ-ით დასაბეგრი თანხა დაკორექტირდება საგადასახადო ორგანოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. ამასთანავე, დღგ-ის თანხის კორექტირებაზე უარის თქმის შესახებ მოტივირებული გადაწყვეტილება ეგზავნება გადასახადის გადამხდელს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

ძალაშია: 03/02/2023-დან

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5712276?publication=0>

საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის შევსებისას გადამხდელმა უნდა მიუთითოს შემდეგი მონაცემები:

- 67-ე უჯრაში – ნაღდი ფულის ნაშთი საანგარიშო თვის ბოლოსთვის, გარდა 68-ე უჯრაში მითითებული თანხისა;
- 68-ე უჯრაში – ~~საანგარიშო თვის განმავლობაში ავანსად გაცემული საქვეანგარიშო თანხების ჯამი, მათ შორის ის თანხები, რომელიც დაბრუნებულია ანგარიშვალდებული პირის მიერ ან/და რომელზედაც ანგარიშვალდებულ პირს წარდგენილი აქვს ანგარიში ავანსად მიღებული თანხის გამოყენებაზე ანგარიშვალდებული პირების მიერ გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ან/და სალაროში დაუბრუნებელი თანხები საანგარიშო თვის ბოლოსთვის;~~
- 69-ე უჯრაში – 68-ე უჯრაში გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ პირთა რაოდენობა.

ძალაშია: 28/03/2023-დან

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5761257?publication=0>

არააქციური საქონლის მარკირება

- მატერიალური ან არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირებას ექვემდებარება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის №275 ბრძანებით დამტკიცებული „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ)“ 2201 და 2202 სასაქონლო პოზიციებში კლასიფიცირებული წარმოებული/იმპორტირებული წყლები (მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები) და სასმელები (არაალკოჰოლური სასმელები), რომლებიც ჩამოსხმულია ნებისმიერი მოცულობის ჭურჭელში, გარდა სატრანსპორტო საშუალებაზე სტაციონარულად დამაგრებული მრავალჯერადი გამოყენების გადასაზიდი ჭურჭლისა და იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 4 ლიტრამდე არაალკოჰოლური სასმელისა.

ეს წესი არ ვრცელდება:

- არაალკოჰოლურ სასმელებზე, რომელთა საბოლოო მომხმარებლისთვის საცალო მიწოდება ხორციელდება შესაბამისი სასმელების წარმოების პროცესის დასრულებისთანავე, შეფუთვის გარეშე (ჩამოსასხმელი სახით).
- ჩამოსხმულია 20 ლიტრის და მასზე ნაკლები მოცულობის ჭურჭელში და წარმოებულია/იმპორტირებულია 2015 წლის 1 ნოემბრამდე;
- ჩამოსხმულია 20 ლიტრზე მეტი მოცულობის ჭურჭელში და წარმოებულია/იმპორტირებულია 2023 წლის 1 ივლისამდე.

ძალაშია: 28/03/2023-დან

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5761257?publication=0>

დაქირავებულ პირთა რეესტრი

- დამქირავებელი საწარმო უფლებამოსილია „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ არ ასახოს იმ ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაცია, რომელიც რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ან საგადასახადო აღრიცხვის ერთიან რეესტრში და მინიჭებული აქვს ამ პირის ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის უფლებამოსილება ან/და წარმოადგენს აღნიშნული პირის მმართველობითი ორგანოს წევრს.

ძალაშია: 09/06/2023-დან

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5825962?publication=0>

უეფას შეღავათებით სარგებლობის წესი

- უეფას, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ან/და დანიშნული პირისათვის საქონლის მიწოდებისას ან/და მომსახურების გაწევისას, საგადასახადო შეღავათით სარგებლობის (დღგ-ისგან გათავისუფლების) მიზნით სავალდებულოა საფ-ის გამოწერა, რომელშიც დღგ-ის თანხის აღმნიშვნელ სტრიქონზე მიეთითება „0“ (ნული).
- იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლში აღნიშნული პროცედურების მიუხედავად, უეფას, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ან/და დანიშნული პირის მიერ შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე მომწოდებლისათვის გადახდილ იქნა დღგ (18%), მათ უფლება აქვთ დაიბრუნონ დღგ-ის თანხა.

ძალაშია: 15/06/2023-დან

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5828676?publication=0>

სესხების და კაპიტალის აღრიცხვა

მოგების ყოველთვიურ და საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციებში ასახვას დაექვემდებარა სესხისა და კაპიტალის მოძრაობის შესახებ ინფორმაცია.

ცვლილების მიხედვით გადასახადის გადამხდელი ვალდებულია:

- მოგების ყოველთვიური დეკლარაციის შესაბამის უჯრებში ასახოს საანგარიშო პერიოდების მიხედვით გაცემული/მიღებული სესხები და საკუთარ/სხვა საწარმოში განთავსებული კაპიტალის შესახებ ინფორმაცია.
- საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამის უჯრებში ასახოს საანგარიშო პერიოდების მიხედვით მიღებული/გაცემული სესხები.

ძალაშია: 01/08/2023-დან

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5869519?publication=0>

დასაბეგრი თანხა ბარტერის დროს

- „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებას დაემატა 48³ მუხლი, რომლითა დადგინდა გაცვლის (ბარტერული) ოპერაციების შემთხვევაში დღგ-ით დასაბეგრი თანხის საბაზრო ფასის განსაზღვრის წესი. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ფარგლებში ხორციელდება უძრავი ნივთის მიწოდება, ოპერაციის თითოეული მხარისთვის დღგ-ით დასაბეგრი თანხა განისაზღვრება მისაღები საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასით დღგ-ის გარეშე.
- მუხლს ასევე ახლავს საილუსტრაციო მაგალითი. მაგალითის თანახმად, საწარმოსა და ფიზიკურ პირს შორის გაფორმდა გაცვლის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, ფიზიკური პირი საწარმოს საკუთრებაში გადასცემს მიწის ნაკვეთს, ხოლო საწარმოდ, ამავე მიწის ნაკვეთზე საწარმომ უნდა ააშენოს შენობა-ნაგებობა, რომელშიც განთავსებული ფართების ნაწილს გადასცემს ფიზიკურ პირის საკუთრებაში. მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასია 236 000 ლარი.
- აღნიშნული მაგალითის შეფასებაში მითითებულია, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ადგილი აქვს უძრავი ნივთის მიწოდებას, საწარმოს მიერ ფიზიკური პირისათვის ფართების მიწოდების დღგ-ით დასაბეგრი თანხა უნდა განისაზღვროს მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასით დღგ-ის გარეშე, რაც შეადგენს 200 000 ლარს (236 000 / 1,18).

ძალაშია: 01/08/2023-დან

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5869519?publication=0>

ფინანსთა მინისტრის 994 ბრძანებაში შესული ცვლილებები

დახმარება გადასახადების ამოღებაში

- საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ან საქართველოს მიერ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში, ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მიერ, ამავე სახელმწიფოში წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ამოღების მიზნით წარდგენილი „დახმარების შესახებ მოთხოვნის“ შესრულებისას გამოიყენება საინკასო დავალების წარდგენა.
- დახმარების შესახებ მოთხოვნაში“ საგადასახადო დავალიანების თანხა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მოთხოვნის შესრულება, ასახული უნდა იყოს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში) და არ უნდა იყოს 1000 ლარზე ნაკლები, ამასთან, საგადასახადო დავალიანების (მათ შორის, საურავის მიხედვით) გაზრდის შემთხვევაში, აღნიშნულ თანხაზე ხელშემკვრელი სახელმწიფო წარმოადგენს ახალ „დახმარების შესახებ მოთხოვნას“ ამავე პუნქტში აღნიშნული თანხის მინიმალური ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით.
- საბანკო დაწესებულება ვალდებულია, პირველ რიგში, შეასრულოს საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალება საქართველოში წარმოშობილი გადასახადის თანხის ჩამოწერის თაობაზე, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს გადასახადის გადამხდელს იმავდროულად უფიქსირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო დავალიანებაც.

ძალაშია: 24/01/2023-დან

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5698811?publication=0>

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ
საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული
ურთიერთშეთანხმების პროცედურის წესი

ურთიერთშეთანხმების პროცედურის წესი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 4 ივლისის №258 ბრძანებით დამტკიცდა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ურთიერთშეთანხმების პროცედურის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია, მიმართოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს ურთიერთშეთანხმების პროცედურის დასაწყებად, თუ თვლის, რომ საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე ერთი ან ორივე სახელმწიფოს მოქმედება იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს მისი დაბეგვრა ამავე საერთაშორისო შეთანხმების დებულებების შეუსაბამოდ.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამოდელო კონვენციის მე-5, მე-7 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის იურიდიულ დეპარტამენტი, სხვა მუხლებთან დაკავშირებით კი, ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის საერთაშორისო დაბეგვრის სამმართველო.

ძალაშია: 06/07/2023-დან

<https://matsne.gov.ge/document/view/5855596?publication=0>

ურთიერთშეთანხმების პროცედურის წესი

საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ შესაძლოა ცალმხრივად მიიღოს დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება, ხოლო, ცალმხრივად გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში მან უნდა შეატყობინოს მეორე მხარის შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს თავისი პოზიცია, რათა დაიწყოს ორმხრივი ან მრავალმხრივი ეტაპი.

გადამხდელმა კომპეტენტურ ორგანოს შეიძლება მიმართოს:

- საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებულ საკითხზე
- მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ საკითხზე
- ორმაგ რეზიდენტობასთან დაკავშირებულ საკითხზე
- გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავების საკითხზე
- საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების არასწორად / ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხზე

განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს საერთაშორისო შეთანხმების დებულებათა შეუსაბამობის აღმოჩენის მომენტიდან სამი წლის ვადაში, თუ საერთაშორისო შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ძალაშია: 06/07/2023-დან

<https://matsne.gov.ge/document/view/5855596?publication=0>

მნიშვნელოვანი სიტუაციური სახელმძღვანელოები

კაპიტალში შეტანილ და გატანილ თანხებს შორის წარმოშობილი სხვაობის დაბეგვრა N1008

ფაქტები

2020 წელს საწარმოს პარტნიორმა (ფიზიკურმა პირმა), საწარმოს კაპიტალში განახორციელა შენატანი 10000 აშშ დოლარის ოდენობით. სებ-ის კურსი: 2.9

2021 წელს საწარმოს პარტნიორმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც შეამცირა კაპიტალი და საწარმოდან გაიტანა 10000 აშშ დოლარი. სებ-ის კურსი: 3.1

საწარმოს ფინანსური აღრიცხვის მიზნებისათვის ფუნქციონალურ ვალუტად განსაზღვრული აქვს ეროვნული ვალუტა - ლარი.

შეფასება

კაპიტალში შეტანილ და გატანილ თანხებს შორის წარმოშობილი სხვაობა 2 000 ლარი (31 000- 29 000) ჩაითვლება საწარმოს მიერ დივიდენდის სახით მოგების განაწილებად და დაებეგრა მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით და გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით.

*მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის 30-ე განყოფილების მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები უნდა გადაიყვანოს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

ღონისძიებები

დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების შემთხვევაში პირი დაჯარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად.

არარეზიდენტისათვის გადახდილი საიჯარო მომსახურების თანხა N2006

ფაქტები

არარეზიდენტ ფიზიკურ პირს საცხოვრებელი ბინა გაქირავებული აქვს იურიდიულ პირზე.

არარეზიდენტი პირისათვის გადახდილი თანხა საწარმოს დაბეგრული აქვს გადახდის წყაროსთან 5 %-იანი განაკვეთით.

მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება და გამქირავებელი პირის მონაცემები შეტანილია საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრში.

შეფასება

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით „ქირავნობა,, და „იჯარა“ წარმოადგენენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ცნებებს და ამასთან სსკ-ის 134-ე მუხლის „დ¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად 81-ე მუხლით განსაზღვრული განაკვეთი გამოიყენება მხოლოდ საიჯარო მომსახურებასთან მიმართებაში, იურიდიული პირი ვალდებულია არარეზიდენტი ფიზიკური პირისათვის გადახდილი თანხა გადახდის წყაროსთან დაბეგროს საშემოსავლო გადასახადის 10%- იანი განაკვეთით

ღონისძიებები

დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების შემთხვევაში პირი დაჯარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად.

სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხის დაბეგვრა N2432

ფაქტები

სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებში მონაწილე ფიზიკურმა პირმა მოიგო ჯეკპოტი 100 000 ლარი. ამასთან, მას რეიტინგში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის გადაეცა ფულადი პრიზი 20 000 ლარის ოდენობით, ასევე ჯეკპოტ ბონუსი ჯეკპოტის ორმაგი ოდენობით.

თამაშობების ორგანიზატორმა თანხის გატანა დაბეგვრა გადახდის წყაროსთან 2%-იანი განაკვეთით

შეფასება

შესაბამისი თამაშობის წესების დაცვით ჯეკპოტის სახით მიღებული შემოსავალი განიხილება შესაბამისი თამაშობიდან მიღებულ მოგებად და თანხა ანგარიშიდან გატანის შემთხვევაში დაიბეგრება გადახდის წყაროსთან 2%-იანი განაკვეთით. ჯეკპოტ ბონუსი და რეიტინგში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის ფულადი პრიზი კი წარმოადგენს უსასყიდლო ხასიათის ჯილდოს, რომელიც დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას გადახდის წყაროსთან 20%-იანი განაკვეთით.

აღნიშნული თანხების სათამაშო ანგარიშიდან გატანა ასევე დაექვემდებარება გადახდის წყაროსთან 2%-იანი განაკვეთით დაბეგვრას.

ღონისძიებები

დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების შემთხვევაში პირი დაჯარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად.

საწარმოს მიერ წარმომადგენლობითი ხარჯის ფარგლებში გაწეული ხარჯები N2434

ფაქტები

რეზიდენტმა საწარმომ გასწია წარმომადგენლობითი ხარჯი. კერძოდ, ანაზღაურა სტუმრის მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯები (როგორცაა მაგ. აეროპორტში დახვედრისა და გაცილების ხარჯები, სასტუმრო მომსახურების ხარჯები, სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები), ასევე, გასწია სუვენირების შეძენის ხარჯები, რომლებიც გადაეცა სტუმრებს.

საწარმოს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება და საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია.

შეფასება

იმის გათვალისწინებით, რომ წარმომადგენლობითი ხარჯი არის ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯი, ამავე ხარჯის ფარგლებში სტუმრისათვის მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურება, ასევე სუვენირის შეძენა არ ატარებს უსასყიდლო ხასიათს.

შესაბამისად, საწარმოს მიერ სტუმრისათვის მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების ასანაზღაურებლად თანხების გადახდა, ასევე სტუმრისათვის სუვენირების გადაცემა არ წარმოშობს საშემოსავლო გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავების ვალდებულებას.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულება არ დაეკისრება

შენიშვნა: სიტუაციური სახელმძღვანელო არ არეგულირებს სტუმრის მიერ მიღებული სარგებლის დაბეგვრის საკითხს

კაპიტალის შემცირება N2549

ფაქტები

საწარმო A-მ მის მიერ დაფუძნებულ საქართველოს საწარმო B-ს კაპიტალში 2021 წლის ივნისში შეიტანა 10000 ლარი, ხოლო 2022 წლის მარტში -20000 ლარი.

2022 წლის აგვისტოში საწარმომ შეამცირა B-ს კაპიტალი 25000 ლარით.

კაპიტალის გაზრდასთან/შემცირებასთან დაკავშირებით შედგენილია პარტნიორის გადაწყვეტილებები და შეტანა/გატანა B-ს ბალანსზე ასახულია საკუთარ კაპიტალში. გადაწყვეტილებები რეგისტრირებული არ არის საჯარო რეესტრში.

თანხის შემცირება მოგების გადასახადით არ დაბეგრილა.

შეფასება

საწარმოს კაპიტალში აქტივის/ქონების შეტანად განიხილება აქტივზე საკუთრების უფლების გადაცემა, რომელიც განხორციელებულია კაპიტალში წილის შეძენის ან მისი ღირებულების გაზრდის მიზნით და აღრიცხულია საწარმოს ბალანსზე.

განხორციელებული შენატანის ფარგლებში საწარმოს კაპიტალის შემცირება და თანხის გაცემა პარტნიორზე არ განიხილება მოგების განაწილებად.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და მის მიმართ დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება

კაპიტალის გაზრდა N2550

ფაქტები

დღგ-ს გადამხდელმა ინდ. მეწარმე A-მ 2022 წლის მარტში B-კაპიტალში შეიტანა 120 000 ლარის ღირებულების კომერციული ფართი.

B-ს კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით A-ს მიერ მიღებულია პარტნიორის გადაწყვეტილება და შენატანი B-ს ბალანსზე ასახულია კაპიტალში.

B-ს კაპიტალის გაზრდა არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

A-მ მიწოდება არ დაბეგრა დღგ-ით.

შეფასება

A-ს მიერ უძრავი ქონების შეტანა B-ს კაპიტალში არ განიხილება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად. ამასთან, აქტივის მიმღები გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის განიხილება აქტივის მიმწოდებლის უფლებამონაცვლედ.

ღონისძიებები

პირის(A-ს) ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და მის მიმართ დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

საცხოვრებელი ბინის საცხოვრებელი მიზნით გაქირავება ფიზიკურ პირზე №1518

- სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, თუ ფიზიკური პირი ახორციელებს მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის საცხოვრებელი მიზნით გაქირავებას არამეწარმე ფიზიკურ პირზე და მიღებულ შემოსავალს ბეგრავს 5%-ით გამოქვითვების გარეშე, თუმცა აღნიშნული ფიზიკური პირი არ არის რეგისტრირებული საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრში, ასეთ შემთხვევაში ის გარემოება, რომ ფიზიკური პირი არ არის რეგისტრირებული გამქირავებელ პირთა რეესტრში, არ უნდა გახდეს მისთვის მიღებული შემოსავლის 20%-იანი განაკვეთით დაბეგვრის საფუძველი, მაგრამ განცხადების წარუდგენლობისთვის იგი, სსკ-ის 291-ე მუხლის შესაბამისად, 100 ლარის ოდენობით დაჯარიმდება.
- ამავე სიტუაციურ სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრში ინფორმაციის აუსახველობის შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთის გამოყენების უფლება შეზღუდულია მხოლოდ იურიდიულ პირზე გაქირავების შემთხვევაში.

ძალაშია: 07/06/2023-დან

<https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/fc76ad98-cc44-43ee-8691-34b7cf6845b1>

ფიზიკური პირის მიმართ საგადასახადო აგენტის ვალდებულების შესრულება №2435

სიტუაციურ სახელმძღვანელოში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად:

- ფიზიკურ პირს კომერციული ფართი იჯარით აქვს გაცემული საწარმოზე, იჯარის ყოველთვიური თანხა შეადგენს 1180 ლარს, საიდანაც საწარმო აკავებდა საშემოსავლო გადასახადს 236 ლარს ($1180 \times 20\%$).
- საანგარიშო წლის ოქტომბრის თვეში გაირკვა, რომ ფიზიკურ პირს დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება წარმოეშვა 1 მარტიდან, შესაბამისად მან მიმართა საგადასახადო ორგანოს იმავე წლის მარტის თვიდან დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნით
- საწარმომ ოქტომბრის თვიდან შეწყვიტა საშემოსავლო გადასახადის დაკავება გადახდის წყაროსთან. ამასთან, იჯარის საკომპენსაციო თანხა (1180 ლარი) არ შეცვლილა.
- ფიზიკურმა პირმა საანგარიშო წლის საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის ერთობლივ შემოსავალში ასახა იჯარის თანხა - 12360 ლარი, მ.შ მარტი - დეკემბრის თვეების 10000 ლარი ($1180 / 1.18 \times 10$) ასახა დღგ-ის გარეშე, ხოლო იანვარი - სექტემბრის თვეების საშემოსავლო გადასახადის გადაანგარიშების მიზნით წყაროსთან (თვეში 1180 ლარიდან) დაკავებული გადასახადი - 2124 ლარი (236×9) ჩაითვალა.

აღნიშნული სახელმძღვანელოს შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ ფიზიკური პირისათვის მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას აღნიშნული პირი არ იყო რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად და ცვლილების გამომწვევი გარემოება დადგა საწარმოს მიერ დეკლარაციების წარდგენის შემდგომ, საშემოსავლო გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავების პერიოდებში (საანგარიშო წლის მარტი – სექტემბერი) წარდგენილი დეკლარაციები საწარმოს მიერ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

ძალაშია: 07/06/2023-დან

<https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/2cf3262c-2d0f-4d2f-aef0-fd602adac7c6>

ხანდაზმულობის ვადები დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევისას №2328

სიტუაციურ სახელმძღვანელოში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად:

- შპს-მ 2022 წლის დეკემბრის თვეში წარმოადგინა 2019 წლის იანვრის თვის დღგ-ის დაზუსტებული დეკლარაცია.
- შპს-მ 2023 წლის იანვარში წარმოადგინა 2019 წლის თებერვლისა და მარტის თვეების დღგ-ს დეკლარაციები.
- შპს-მ 2023 წლის იანვარში წარმოადგინა 2018 წლის დეკემბრის დღგ-ს დაზუსტებული და 2018 წლის მოგების გადასახადის დეკემბრის თვის პირველადი დეკლარაციები.

შეფასება:

- ხანდაზმულობის ვადები გაგრძელდება 1 წლით, 2019 წლის პერიოდის ყველა საგადასახადო დეკლარაციაზე, რადგან დღგ-ის 2019 წლის იანვრის დაზუსტებული დეკლარაცია წარდგენილია ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე.
- შპს-ს 2019 წლის თებერვლისა და მარტის დღგ-ის დეკლარაციების ვადის დარღვევით წარდგენის გამო, საგადასახადო ვალდებულებებთან ერთად დაერიცხება ჯარიმა სსკ-ის 274-ე მუხლის მიხედვით.
- შპს-ს 2018 წლის დეკემბრის დღგ-ის (დაზუსტებული) და 2018 წლის მოგების გადასახადის (პირველადი) დეკლარაციების მიხედვით საგადასახადო ვალდებულება და სანქციები არ დაერიცხება და არ აისახება ბარათზე.

ძალაშია: 07/06/2023-დან

<https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/f0940c75-605f-4cfe-9c6a-860c811a599b>

სტაჟიორის შესახებ ინფორმაციის ასახვა დაქირავებულ პირთა რეესტრში №2551

სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულია ორი შემთხვევა: ერთ შემთხვევაში სტაჟიორი სამუშაოს ასრულებს ანაზღაურების სანაცვლოდ, ხოლო მეორე შემთხვევაში - ანაზღაურების გარეშე. შემოსავლების სამსახურის პოზიციით, ანაზღაურებადი სტაჟირების შემთხვევაში პირი განიხილება დაქირავებულ თანამშრომლად და თუ ის ასახული არ არის დაქირავებულთა რეესტრში, საწარმო დაჯარიმდება საგადასახადო კოდექსის 288⁵-ე მუხლის საფუძველზე [200 ლარი]. იმ შემთხვევაში, თუ სტაჟიორი სამუშაოს ასრულებს ანაზღაურების გარეშე, დაქირავებულ პირთა რეესტრის წარმოების მიზნებისათვის იგი არ განიხილება დაქირავებულ თანამშრომლად.

ძალაშია: 10/08/2023-დან

<https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/448a733f-a024-4750-ae3c-9ad2195d9ed4>

მნიშვნელოვანი მეთოდური მითითებები

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო

- თიზ-ის საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება სსკ-ს 97-ე მუხლის შესაბამისად. თუმცა, კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განაცემები
- მოგების გადასახადში საგადასახადო შეღავათის გავრცელების მიზნებისთვის, არსებითია, რომ თიზ-ის საწარმო ნებადართულ საქმიანობას ახორციელებდეს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში და ახდენდეს იმ მოგების განაწილებას, რომელიც მიღებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობიდან, შესაბამისად, თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიული ზონის გარეთ საქმიანობაზე ვერ გავრცელდება დადგენილი შეღავათი.
- თიზ-ის საწარმოს მიერ არარეზიდენტისათვის მომსახურების გაწევა არ უნდა იქნეს განხილული თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართულ საქმიანობად. ამდენად, მასზე ვერ გავრცელდება კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტით დადგენილი შეღავათი.

ძალაშია: 29/12/2022-დან

თიზ- 23.12.2022 (1).pdf (rs.ge)

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო

იმის გათვალისწინებით, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის სახეობა, და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით თავისუფალ ზონაში ნებადართულად შესაძლებელია მიჩნეულ იქნას მაგალითად, თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული ნებადართული საქონლის შეტანა, შენახვა და ამავე საქონლის გატანა თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან, მათ შორის, რაიმე სახის გადამუშავების ან საწარმოო პროცესის გავლის გარეშე, შესაბამისად, თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის შეტანა, შენახვა და ამავე საქონლის გატანა ზონიდან, განხილულ იქნება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართულ საქმიანობად და ასეთი საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილებაზე გავრცელდება მოგების გადასახადის საგადასახადო შეღავათი.

ძალაშია: 29/12/2022-დან

თიზ- 23.12.2022 (1).pdf (rs.ge)

არასასურსათო საქონლის არაარსებითი დანაკარგები

ამ მეთოდური მითითების მიზნებისთვის, არასასურსათო საქონელი არის ნებისმიერი პროდუქტი, გარდა:

- ა) სურსათი;
- ბ) აქციზური საქონელი;
- გ) ღვინო;
- დ) მარკირებას/ნიშანდებას დაქვემდებარებული სასმელები;
- ე) ფარმაცევტული პროდუქტი ან/და საკვები დანამატები;
- ვ) ნებისმიერი საყოფაცხოვრებო ან/და სამშენებლო ან/და სხვა დანიშნულების:
 - ვ.ა) ტექნიკა;
 - ვ.ბ) მოწყობილობა;
 - ვ.გ) ინვენტარი;
 - ვ.დ) ავეჯი;
 - ვ.ე) ტექსტილი;
- ზ) ტანსაცმელი ან/და ფეხსაცმელი ან/და სხვა სამოსი და შესაბამისი აქსესუარები;
- თ) კოსმეტიკა ან/და პარფიუმერია.

ძალაშია: 13/10/2022-დან
<https://ow.ly/47hj50PM06F>

არასასურსათო საქონლის არაარსებითი დანაკარგები

- არაარსებითი დანაკარგი არის გადასახადის გადამხდელის სავაჭრო ობიექტებში მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში გამოვლენილი არასასურსათო საქონლის დანაკლისის ჯამი, რომლის საბაზრო ღირებულება (დღგ-ის გარეშე) არ აღემატება წინა კალენდარული წლის განმავლობაში გადასახადის გადამხდელის სავაჭრო ობიექტებიდან რეალიზებული, მათ შორის დანაკლისად დაბეგრული, არასასურსათო საქონლის სარეალიზაციო ღირებულებათა (დღგ-ის გარეშე) ჯამის 0,5 %-ს, გარდა ამავე მეთოდური მითითების მე-6 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.
- ამ მეთოდური მითითებით გათვალისწინებული არაარსებითი დანაკარგი, გადასახადებით დაბეგრის მიზნებისათვის არ განიხილება დანაკლისად.

ძალაშია: 13/10/2022-დან
<https://ow.ly/47hj50PM06F>

მაგალითი

შპს „X“-ის 2022 წლის შემოსავალმა შეადგინა 2 000 000 ლარი (დღგ-ის გარეშე). მათ შორის:

- სურსათის რეალიზაციიდან - 1 000 000 ლარი;
- არასასურსათო საქონლის (ჰიგიენის საშუალებების) რეალიზაციიდან - 700 000 ლარი;
- სხვა საქონლის (საყოფაცხოვრებო ტექნიკის) რეალიზაციიდან - 300 000 ლარი.

შპს „X“-ის ან/და საგადასახადო ორგანოს მიერ სავაჭრო ობიექტში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, 2023 წლის მაისის თვეში ერთ-ერთ მათგანში გამოვლინდა დანაკლისი, საბაზრო ღირებულებით (დღგ-ის გარეშე), ჯამში 5 000 ლარი. მათ შორის:

- სურსათის დანაკლისი - 2000 ლარი;
- არასასურსათო საქონლის (ჰიგიენის საშუალებების) დანაკლისი - 2 000 ლარი;
- სხვა საქონლის (საყოფაცხოვრებო ტექნიკის) დანაკლისი - 1 000 ლარი.

2023 წლის სხვა თვეებში დანაკლისი არ გამოვლენილა.

მაგალითი

წინამდებარე მეთოდური მითითების მიზნებისთვის, არაარსებითი დანაკარგის გამოანგარიშებისთვის, მხედველობაში მიიღება მხოლოდ არასასურსათო საქონლის (განსახილველ შემთხვევაში, ჰიგიენური საშუალებების) რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი - 700 000 ლარი. ამდენად, შპს „X“-ის 2023 წლისათვის არაარსებითი დანაკარგი იქნება $(700\ 000 * 0,5\%)$ 3 500 ლარი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ არასასურსათო საქონლის, კერძოდ ჰიგიენური საშუალებების დანაკლისის ნაწილში. შესაბამისად, 2023 წლის მაისის თვეში დაბეგვრას დაექვემდებარება სხვა საქონლის (საყოფაცხოვრებო ტექნიკის) ნაწილში გამოვლენილი დანაკლისი (1 000 ლარი), ხოლო, რაც შეეხება სასურსათო საქონელში გამოვლენილ დანაკლისს, მის მიმართ გამოიყენება „სავაჭრო ობიექტებში გამოვლენილი საქონლის (სურსათის) არაარსებითი დანაკარგების დანაკლისად განუხილველობის შესახებ“ მეთოდური მითითება.

ძალაშია: 13/10/2022-დან
<https://ow.ly/47hj50PM06F>

არასასურსათო საქონლის არაარსებითი დანაკარგები

არაარსებითი დანაკარგი ექვემდებარება გადაანგარიშებას, თუ მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში რეალიზებული, მათ შორის დანაკლისად დაბეგრილი, არასასურსათო საქონლის სარეალიზაციო ღირებულებათა ჯამი (დღგ-ის გარეშე) არსებითად განსხვავდება წინა სრული კალენდარული წლის ანალოგიური მონაცემისაგან. კერძოდ, შესაბამისი თანხა (ბრუნვა) წინა წელთან შედარებით:

- ა) თუ გაიზარდა 10%-ით ან მეტით, მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში დაბეგრილი დანაკლისები ექვემდებარება იმავე კალენდარული თვეების დეკლარაციების დაზუსტების გზით შემცირებას, რომლებშიც მოხდა მათი ასახვა (დაბეგვრა);
- ბ) თუ შემცირდა 10%-ით ან მეტით, მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში დაუბეგრავი დანაკლისები ექვემდებარება ამავე წლის დეკემბრის თვის საანგარიშო პერიოდის შესაბამის დეკლარაციებში ასახვას (დაბეგვრას).

ძალაშია: 13/10/2022-დან
<https://ow.ly/47hj50PM06F>

მაგალითი

შპს „X“-ის 2022 წლის შემოსავალმა შეადგინა 1 500 000 ლარი (დღგ-ის გარეშე). შპს „X“-ის ან/და საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის სავაჭრო ობიექტში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, 2023 წლის მაისის თვეში გამოვლინდა არასასურსათო საქონლის (ქიმიისა და სარეცხი საშუალებების) დანაკლისი, საბაზრო ღირებულებით (დღგ-ის გარეშე), ჯამში 10 000 ლარი.

2023 წლის სხვა თვეებში დანაკლისი არ გამოვლენილა.

შპს „X“-ის 2023 წლის შემოსავალმა შეადგინა 2 100 000 ლარი (დღგ-ის გარეშე).

მაგალითი

- არაარსებითი დანაკარგის გამოანგარიშების მიზნით, 2023 წლის მაისში გამოვლენილი დანაკლისის ნაწილი, $(10\ 000 - (1\ 500\ 000 * 0,5\%))$ 2 500 ლარი არ ჩაითვლება, როგორც არაარსებითი დანაკარგი და შესაბამისად, იგი დაექვემდებარება ამავე თვეში დაბეგვრას, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, 2022 წლის შედეგებიდან გამომდინარე, 2023 წლის მაისში გამოვლენილი არაარსებითი დანაკარგის ზღვარი $(1\ 500\ 000 * 0,5\%)$ 7 500 ლარი, 2 500 ლარით ნაკლებია, ვიდრე ამავე პერიოდის დანაკლისი (10 000 ლარი).
- ამასთან, ვინაიდან 2023 წლის შედეგებით სახეზეა რეალიზაციის მოცულობის არსებითი ზრდა (40 პროცენტი) და გადაანგარიშებას დაექვემდებარებული არაარსებითი დანაკარგის ზღვარი შეადგენს $(2\ 100\ 000 * 0,5\%)$ 10 500 ლარს, არაარსებითი დანაკარგის გადაანგარიშების მიზნით, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, 2023 წლის დასრულების შემდეგ, 2023 წლის მაისის თვის დეკლარაცი(ებ)ის დაზუსტების გზით, სრულად შეამციროს დაბეგრილი დანაკლისი (2 500 ლარი)

ძალაშია: 13/10/2022-დან
<https://ow.ly/47hj50PM06F>

არასასურსათო საქონლის არაარსებითი დანაკარგები

- წინამდებარე მეთოდური მითითება გამოიყენება იმ არასასურსათო საქონლის დანაკლისის მიმართ, რომლის ქურდობის ან/და უკანონო მოხმარების განმახორციელებელი პირი არ არის იდენტიფიცირებული.
- წინამდებარე მეთოდური მითითება არ გამოიყენება:
 - ა) თუ განხორციელდა არაარსებითი დანაკარგის ფარგლებში შესაბამისი ზიანის / კომპენსაციის ვინმესთვის დაკისრება;
 - ბ) თუ არსებობს დანაკლისის გამომრიცხავი სხვა მტკიცებულება.

ძალაშია: 13/10/2022-დან
<https://ow.ly/47hj50PM06F>

საჯარო გადაწყვეტილებები

ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრა

საჯარო გადაწყვეტილება

ა) ტუროპერატორის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტის ორგანიზებულად შემოყვანისას ტურისტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული პროდუქტის (ტურისტული მომსახურების არანაკლებ 2 კომპონენტის, მათ შორის, სასტუმროში განთავსება, კვება, საქართველოში ტრანსფერი და სხვა) მიწოდება და მასთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურების გაწევა (სამოგზაურო დაზღვევა და სხვა), გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით;

ბ) საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანისას ტურისტული მომსახურების (სასტუმროში განთავსება, კვება, საქართველოში ტრანსფერი და სხვა) და მასთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურების (სავიზო მხარდაჭერა, სამოგზაურო დაზღვევით უზრუნველყოფა და სხვა) გაწევა, დღგ-ის მიზნისთვის განიხილება საქართველოს ფარგლების გარეთ გაწეულ მომსახურებად;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტის ორგანიზებული შემოყვანისა და მისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული პროდუქტის მიწოდების მიზნით შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილ დღგ-ზე, ტუროპერატორი უფლებამოსილია მიიღოს დღგ-ის ჩათვლა, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

ძალაშია: 28/03/2023-დან

<https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/dc5b4971-2958-460b-96a3-ceb30f5a47df>



მადლობა ყურადღებისათვის!

გიორგი ხანჯალიაშვილი

Giorgi.Khanjaliashvili@gmail.com

+995 598 513 383